სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.11.119.006.109

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №221/ნ

2003 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

1. დამტკიცდეს აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა (დანართი № 1) და მისი გაცემის წესი (დანართი № 2).

2. (ამოღებულია - 14.03.2013, №01-12/ნ).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

3. (ამოღებულია - 14.03.2013, №01-12/ნ).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

ა. გამყრელიძე

შეტანილი ცვლილებები:

1.საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

დანართი № 1

აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა

აფთიაქის შტამპი ცნობა № 000000 200 წლის _____ (რიცხვი, თვე) მოქალაქე _____ -ზე (სახელი გვარი) გაიცა ნარკოტიკული საშუალება _____ (ნარკოტიკული საშუალების დასახელება) რაოდენობით _____ (ამპულის, აბის, ფლაკონის და ა.შ. რაოდენობა) აფთიაქის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დანართი № 2

აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი

1. აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (შემდგომში – ცნობა) გაიცემა ნარკოტიკული საშუალების ყოველი გაცემისას, მხოლოდ მის მიმღებ ფიზიკურ პირზე.

2. ცნობის გაცემის დამადასტურებელი ჩანაწერი კეთდება ფორმა № 1 იმ რეცეპტის ბლანკის უკანა გვერდზე, რომლის საფუძველზეც გაიცა ნარკოტიკული საშუალება. ჩანაწერში ფიქსირდება ცნობის ნომერი და გაცემის თარიღი. ცნობის მიღების თაობაზე ჩანაწერს ხელმოწერით ადასტურებს ნარკოტიკული საშუალების მიმღები ფიზიკური პირი.

3. ცნობის მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 დღით გამოწერის თარიღის ჩათვლით, რის შესახებაც აფთიაქის პასუხისმგებელი ფარმაცევტი ვალდებულია გააფრთხილოს ნარკოტიკული საშუალების მიმღები ფიზიკური პირი.